

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური
ანგარიში

ხელოვნური ინტელექტი, როგორც ადამიანის
უფლებების დაცვაზე ნეგატიური ზეგავლენის
საფრთხე



თბილისი
2025

შინაარსი

შესავალი.....	3
ხელოვნური ინტელექტის ცნება და მუშაობის მახასიათებლები.....	6
ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ეთიკური პრინციპები და სამართლებრივი ინსტრუმენტები.....	9
ეთიკური პრინციპები	9
ევროსაბჭოს ჩარჩო კონვენცია	11
ევროპის კავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტი (AI Act)	12
სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები და უფლების დაცვის ტრადიციული მექანიზმები.....	13
ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საქართველოში	14
ხელოვნური ინტელექტის რეგულირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და რეგულირების სფერო	15
ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პრაქტიკა ადმინისტრაციულ ორგანოებში	17
დასკვნა	22

შესავალი

ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებმა (Artificial intelligence – AI) ადამიანთა ცხოვრების ხარისხისა და ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად უამრავი ახალი შესაძლებლობა გააჩინა. ამგვარმა ტექნოლოგიებმა სერიოზული ზეგავლენა მოახდინა სახელმწიფოსა თუ საზოგადოების ფუნქციონირების მანამდე არსებულ, ტრადიციულ წესებზე. ხელოვნური ინტელექტისთვის ექსკლუზიურად არსებულმა მახასიათებლებმა (სიმძლავრე, მასშტაბი და გამოყენების სიჩქარე) საჯარო მმართველობის განხორციელებისას გადაწყვეტილების მიღებისა და სერვისების მიწოდების ახალი, ინოვაციური გზები გააჩინა. მსოფლიოს გარშემო ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები უფრო და უფრო სწრაფი ტემპით იწერება. ამგვარი ტექნოლოგიები საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთ სფეროში უკვე აქტიურად გამოიყენება: განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, საგზაო უსაფრთხოების, საიმპერაციო კონტროლის, სამართალდაცვით, და საჯარო მმართველობის სხვა, მრავალ სფეროში ხელოვნური ინტელექტი არაერთ ქვეყანაში უკვე დანერგილია. ამგვარ ტექნოლოგიებს გააჩნიათ უნარი შეასრულონ ადამიანური შესაძლებლობებისთვის ხშირად სახიფათო, უსიამოვნო, რთული ან დამღლელი ამოცანები.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მასშტაბების ზრდამ და ტემპმა არაერთი კითხვა გააჩინა ადამიანის უფლებებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. კერძოდ, რა სახის ზეგავლენა შესაძლოა ჰქონდეს ამ ტიპის ტექნოლოგიებს იმ ადამიანთა შესაძლებლობებსა და კეთილდღეობაზე, ვისთვისაც იგი გამოიყენება. შესაძლოა თუ არა, რომ ამგვარი ტექნოლოგიების ფუნქციონირების პროცესში არსებითად მცდარი, უსამართლო ან/და დისკრიმინაციული გადაწყვეტილებები იქნეს მიღებული. რა ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს ამგვარი ტექნოლოგიების გამოყენებას ადამიანის უფლებების დაცვაზე, დემოკრატიაზე და სამართლის უზენაესობაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში აქტიურად განიხილება ის ნეგატიური გავლენა, რაც ტექნოლოგიური პროგრესის თანმდევი ადამიანის უფლებების მიმართ, თუმცა მკვლევარებთან ერთად, ამ საფრთხის თაობაზე აქტიურად უთითებენ საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია,¹ ევროკავშირი,² ევროპის საბჭო³ და სხვ. ადამიანის მიერ შექმნილი, მანქანურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სიტემები, მიუხედავად მისი განუზომლად დიდი შესაძლებლობისა, სრულიად ვერ გამორიცხავენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეცდომის დაშვების ალბათობას. ამასთან, არსებობს შესაძლებლობა ამგვარი ტექნოლოგიები შეიქმნას ან გამოყენებულ იქნეს არაკეთილსინდისიერად, სათანადო ყურადღებისა და დაკვირვების გარეშე, ზოგჯერ კი საერთოდ - კანონით გაუთვალისწინებელი მიზნების მისაღწევად. აღნიშნული კი უარყოფითად აისახება როგორც კონკრეტულ ინდივიდზე, ისე მთელს საზოგადოებაზე. მისი დადებითი მახასიათებლების გარდა, ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გამოყენებას აგრეთვე აქვს პოტენციალი - ნეგატიური გავლენა იქონიოს ადამიანის უფლებებზე.

¹ ინფორმაცია ხელმისაწვდომია < <https://shorturl.at/7Rb1p> > [13.08.2024].

² < <https://shorturl.at/DYp7D> > [13.08.2024].

³ The Brain-Computer Interface: New Rights or New Threats to Fundamental Freedoms, COE Parliamentary Assembly, Recommendation 2184, (2020), < <https://shorturl.at/7mTFL> > [14.08.2024].

აღნიშნული რისკების ანალიზის ფონზე, აუცილებელი ხდება ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების შექმნისა და გამოყენებისთვის მკაცრი სამართლებრივი წესრიგის დადგენა. აღნიშნული გულისხმობს სავალდებულო წესებს, ეთიკურ ჩარჩოებს, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალ ხარისხსა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას. სულ უფრო და უფრო აუცილებელი ხდება, ხელოვნური ინტელექტის დადებითი მახასიათებლების გარდა, გაანალიზდეს მისგან მომდინარე სავარაუდო რისკები და შეიქმნას ამგვარი რისკების რეალიზების დაზღვევის ან/და მათზე რეაგირების კმედითი მექანიზმები. აღნიშნული მოთხოვნები ვრცელდება ხელოვნური ინტელექტის, როგორც ტექნოლოგიის სასიცოცხლო ციკლის ყველა, მათ შორის შექმნის, განვითარებისა და გამოყენების ფაზებზე. (ე. წ. AI lifecycle). აღსანიშნავია, რომ პოტენციური ზიანის შეფასება ხშირად არ არის მარტივი ამოცანა. ამგვარი სისტემები აგებულია სპეციალური ცოდნის გამოყენებით, ახასიათებს ტექნიკური სირთულე და ზოგიერთ შემთხვევაში, მისი მუშაობა გაუმჭვირვალეა.

ხელოვნური ინტელექტის ადამიანის უფლებებზე პოტენციური უარყოფითი გავლენა არ გულისხმობს მხოლოდ პერსონალურ მონაცემთა დიდი ოდენობით შესაძლო არაპროპორციულ დამუშავებას. ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენებით შესაძლოა ზიანი მიადგეს არამხოლოდ ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებას, არამედ მის სხვა სამოქალაქო და სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს (გამოხატვის, შრომით, ჯანმრთელობის, განათლების, სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების და სხვა უფლებებს). სამართალური თვითობის სხვადასხვა ეტაპზე, სადაც გადაწყვეტილება ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით მიიღება განსაკუთრებით მაღალი რისკია ფიზიკური პირი სხვადასხვა ნიშნით გახდეს დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლი.

დღეს უკვე არსებობს არაერთი მაგალითი, როდესაც ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენებით კანონშეუსაბამოდ შეეზღუდათ პირებს დასაქმების ხელმისაწვდომობის უფლება,⁴ კანონშეუსაბამოდ გათავისუფლდნენ სამსახურიდან,⁵ დისკრიმინაციული მოტივით შეუწყდათ სოციალური დახმარება⁶ ან ვერ შეძლეს გამოცდაზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოცდაზე რეგისტრაცია.⁷ ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევას ჯანდაცვის სფეროში ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენება შეიძლება მივიჩნიოთ. მიუხედავად არაერთი დადებითი მხარისა რაც უპრეცედენტო რაოდენობის მონაცემთა ანალიზის შედეგად დიაგნოზის დასმის შესაძლებლობას იძლევა, სამედიცინო სფეროში ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენებამ შესაძლოა ადამიანის სიცოცხლის უფლებას პირდაპირი საფრთხე შეუქმნას. იმ შემთხვევაში თუ დიაგნოსტიკის პროცესში ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტი დიაგნოზზე რაიმე სახის რეკომენდაციას გასცემს, ადამიანის ძირითად უფლებაზე გამოუსწორებელი ზიანის პოტენციური რისკების თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია პაციენტის ინფორმირებული თანხმობა, რაც საკმაოდ დიდი გამოწვევაა, ვინაიდან აუცილებელია ხელოვნური ინტელექტის სისტემის მუშაობაზე როგორც ექიმის, ისე პაციენტის სათანადო ინფორმირება, აღნიშნული გარემოებას კი სამედიცინო სფეროში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ეთიკური სტანდარტების შემუშავების გადაუდებელ აუცილებლობამდე მივყავართ.

⁴ ა.შ.შ.-ში დასაქმებაზე ხელმისაწვდომობის უფლების შემთხვევა < <https://shorturl.at/kp2Jb> > [04.05.2025].

დიდი ბრიტანეთში პლათფორმაზე დასაქმების უფლების შეზღუდვის შემთხვევა < <https://shorturl.at/WpvTH> > [04.05.2025].

⁵ იხ. < <https://shorturl.at/15Lhd> > და < <https://shorturl.at/NqcCA> > შემთხვევები [04.05.2025].

⁶ The Dutch childcare benefit scandal < <https://rb.gy/109y53> > [04.05.2025].

⁷ იხ. < <https://rb.gy/tmwroi> > [04.05.2025].

ხელოვნური ინტელექტის ადამიანის უფლებებზე ზემოქმედების რისკებსა და უკვე წარმოშობილ პრობლემებზე სხვადასხვა ქვეყნის ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტები (NHRI) საკუთარი მანდატის ფარგლებში განიხილავენ საჩივრებს, ატარებენ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს და ჩართულები არიან ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებით როგორც რეგულაციების შემუშავების, ისე იმპლემენტაციის ეფექტურად წარმართვის პროცესში. ევროპის კავშირის ქვეყნებში კი „ევროპის კავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტის“ 77-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრულია ის უწყებები/ინსტიტუტები რომლებიც ზედამხედველობას უწევენ ხელოვნური ინტელექტის გავლენას ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებზე. მასში შედიან როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურები, ასევე ომბუდსმენის და თანასწორობის ორგანოები.⁸

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ თანამედროვე, ციფრული ტექნოლოგიური შესაძლებლობების მასშტაბი საკმაოდ დიდია და იზრდება ადამიანთა ცხოვრებაზე მათი ნეგატიური გავლენის რისკიც, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ ინსტიტუტებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით მიმდინარე საკანონმდებლო და პოლიტიკურ პროცესებში.⁹ ვინაიდან, ხელოვნური ინტელექტის სწრაფი ევოლუცია გრძელდება, მისი გამოყენების პროცესში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ციფრული ტექნოლოგიებით ადამიანის უფლებებზე უარყოფითი ზეგავლენის რისკების განსაზღვრის და მათი შემცირების უზრუნველყოფა.

საქართველოს სახალხო დამცველი როგორც ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტი (NHRI) და უფლებების დაცვაზე ზედამხედველი კონსტიტუციური ორგანო აქტიურად იწყებს ამ მიმართულებით მუშაობას. სახალხო დამცველის წინამდებარე სპეციალური ანგარიშის მიზანია, „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-12 და 21-ე მუხლების საფუძველზე, წარმოაჩინოს, ქვეყანაში ხელოვნური ინტელექტის რეგულირების არარსებობის პირობებში, რა საფრხეს და რისკებს შეიცავს ამდგარი ტექნოლოგიები და რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამ ტექნოლოგიებმა ადამიანის უფლებების დაცვაზე. საჯარო დაწესებულებების საქმიანობაზე ზედამხედველობის ფარგლებში, ანგარიშში გაანალიზებულია ამ კუთხით საქართველოს რიგ ადმინისტრაციული ორგანოებში არსებული სურათი, არა მხოლოდ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების, არამედ შესაბამისი უწყებების ინფორმირებულობის ხარისხთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველის უფლებამოსილების ფარგლებში ჩატარებული შემოწმებით შეფასდა „ხელოვნური ინტელექტის“ ცნების არარსებობის პირობებში, რა ტიპის ტექნოლოგიები მიიჩნევა ხელოვნურ ინტელექტის პროგრამებად. რეგულირების არარსებობის პირობებში, საჯარო უწყებების ნაწილის მიერ ხელოვნური ინტელექტის დანერგვისას, ვის მიერ და როგორ ფასდება ამგვარი სისტემების ადამიანის უფლებებთან ან თუნდაც, ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან შესაბამისობის საკითხი.

ანგარიშში გაანალიზებულია თუ რამდენად დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებზე, მათ

⁸ <https://digital-strategy.ec.europa.eu/en/policies/ai-act-governance-and-enforcement> [04.05.2025]

⁹ <https://ennhri.org/ai-resource/good-practices/> [04.05.2025],

შორის მოწყვლადი ჯგუფების უფლებებსა და თავისუფლებებზე ხელოვნური ინტელექტის არა რეგულირებად და უკონტროლო გამოყენებას.

ხელოვნური ინტელექტის ცნება და მუშაობის მახასიათებლები

მიუხედავად სწრაფი განვითარებისა, ამ დრომდე არ არსებობს ხელოვნური ინტელექტის უნივერსალურად აღიარებული განმარტება, მათ შორის არც საქართველოს შიდა საკანონმდებლო დონეზე. სხვადასხვა განმარტებების ფარგლებში ძირითადი აქცენტი კეთდება ამგვარი ტექნოლოგიების აღწერასა და როლზე. ნებისმიერ შემთხვევაში, ხელოვნური ინტელექტზე საუბრისას იგულისხმება ალგორითმული¹⁰ მოდელები, რომლებიც ახორციელებენ შემცენებით ფუნქციებს. თუ კი ადრე, ინფორმაციის მიღება, დამუშავება, ანალიზი თუ მსჯელობა, ადამიანების მიერ ხორციელდებოდა, დღეს აღნიშნული ფუნქციის მატარებელი ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებიც შეიძლება იყოს.

საქართველოს სახალხო დამცველი ხელოვნური ინტელექტის ცნების განსაზღვრისას ეყრდნობა ევროპის საბჭოს („ევროსაბჭო“) კონვენციურ განმარტებას, რომლის მიხედვითაც ხელოვნური ინტელექტი არის „მანქანურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სისტემა, რომელსაც შეუძლია, ადამიანის მიერ განსაზღვრული ნაგულისხმევი ან აშკარა მიზნების გათვალისწინებით, შეიმუშაოს პროგნოზები და რეკომენდაციები ან მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას ახდენს რეალურ ან ვირტუალურ გარემოზე.“¹¹

ლიტერატურაში, ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის შექმნისა და გაშვების ეტაპები პირობითად შეიძლება დაიყოს **დაპროექტების (Design), შემუშავებისა (Development) და დანერგვის (Deployment)** ფაზებად. თითოეულ ფაზას ახასიათებს გარკვეული თავისებურებები, წესები და პრინციპები, რომელთა დაცვაც აუცილებელია. ამასთან თითოეული ამ ფაზის ზოგადი აღწერა, ნათელს ქმნის ადამიანის უფლებების მიმართ მათი გავლენის, მათ შორის უარყოფითის, მოხდენის შესაძლებლობებს.

ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის შექმნის პირველი ეტაპი დაპროექტების (Design) ფაზით იწყება. აღნიშნული კი რამდენიმე ეტაპისგან შედგება. პირველ ეტაპზე იწყება **პროექტის დაგეგმვა**, რაც პირველ რიგში გულისხმობს გადაწყვეტას თუ რა არის პროექტის მიზანი და კონკრეტულად რა დანიშნულებით იქმნება ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგია. მაგალითისთვის, შესაბამისმა გუნდმა შეიძლება გადაწყვიტოს, რომ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები უნდა გამოიყენონ ბიზნესისა და ადამიანის უფლებების საკითხის შესასწავლად, თუ რამდენად იცავენ კომპანიები საერთაშორისო ვალდებულებებს და როგორია იძულებითი შრომის შემთხვევების გამოვლენის ალბათობა.

შემდგომი ეტაპი **პრობლემის ფორმულირებაა** - ამ ეტაპზე მომუშავე გუნდმა უნდა განსაზღვროს კონკრეტულად რა პრობლემას მოაგვარებს შესამუშავებელი ტექნოლოგია და რა სახის მონაცემების (Data) შეყვანაა საჭირო და რა მიზნით. მაგალითისთვის, შესაბამისმა

¹⁰ ალგორითმი ეს არის გამოთვლითი პროცესი ან წესების ერთობლიობა, რომელიც გარკვეული პრობლემის გადასაჭრელად ხორციელდება. კომპიუტერი გამოიყენება ჩვეულებრივ რთული ამოცანების გადასაჭრელად. ამასთან, ადამიანსაც შეუძლია მიეცეს ალგორითმულ პროცესს, მაგალითად, მათემატიკური ფორმულის გამოყენება განტოლების ამოსახსნელად.

¹¹ Council of Europe Framework Convention on Artificial Intelligence and Human Rights, Democracy and the Rule of Law, Adopted on September 5th 2024, ETC 225, Article 2.

გუნდმა დაადგინა, რომ მთავარი საკითხი იქნება იძულებით შრომასთან (Forced Labour) ბრძოლა. ამგვარი ზუსტი ფორმულირება ეხმარება გუნდს განსაზღვროს კონკრეტული კითხვა, რომელსაც პასუხი გაეცემა კონკრეტული მონაცემების საშუალებით.

ამ ეტაპის დასრულების შემდეგ, აუცილებელია **მონაცემთა მოპოვება** - ეს ეტაპი მოიცავს პრობლემის შესახებ მონაცემების მოპოვებას. მონაცემების მოპოვება სხვადასხვა გზით შეიძლება განხორციელდეს, მაგალითად, ვებ-სკრაპინგის,¹² მონაცემთა ჩაწერის, კვლევის ჩატარების ან მსგავსი პროცესების გამოყენებით. მაგალითად, გუნდმა შესაძლოა გადაწყვიტოს რომ უნდა განისაზღვროს ის ფაქტორები, რომელიც მნიშვნელოვანია იძულებითი შრომის შემთხვევების გამოვლენისთვის. ამ მიზნით ისინი მოითხოვენ მონაცემებს საჯარო შესყიდვების ჩანაწერებიდან (Public Procurement), დასაქმებულთა საჩივრებს, ექნებათ წვდომაზე სხვადასხვა მონაცემთა ბაზებზე (მაგალითად, Global Slavery Index) და ა.შ. ამ ნაწილში ადამიანის უფლებების კუთხით მნიშვნელოვანია არსებობს თუ არა მონაცემთა დამუშავებაზე სუბიექტის თანხმობა, არის თუ არა მონაცემები ანონიმური.

შემდეგ ეტაპზე ხორციელდება **მონაცემთა ანალიზი** - ამ ეტაპზე აუცილებელია მოპოვებული მონაცემების ერთგვარი დათვალიერება. იგი პირველ რიგში გულისხმობს საკვლევი მონაცემების ანალიზს (Exploratory data analysis (EDA)), ამ ეტაპზე ხდება მონაცემთა ნაკრებების ანალიზი და ამ მონაცემების ძირითადი მახასიათებლების დადგენა. EDA გულისხმობს გაკეთებული ანალიზის შედეგების წარმოდგენასაც ვიზუალიზაციის ან შემაჯამებელი სტატისტიკის საშუალებით. ამ ეტაპზე ვიზუალიზაციის საშუალებით შესაძლოა გაირკვეს ამა თუ იმ ქვეყანაში, კონკრეტულ პერიოდში ბავშვების სკოლაში დასწრების სტატისტიკა, ამა თუ იმ შრომით ინდუსტრიაში ბავშვთა ჩართულობის მაჩვენებელი, ოჯახის შემოსავალი და ა.შ.

ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის შემუშავების ფაზაში (Development) პირველ რიგში ხორციელდება ე.წ. **წინასწარი დამუშავება** - ამ ეტაპს ხშირად ხელოვნური ინტელექტის შემუშავების ყველაზე შრომატევად ეტაპად მიიჩნევენ. ამ ეტაპზე ხორციელდება არასრული მონაცემების წაშლა და სასურველი მონაცემების კონკრეტული ტექნოლოგიისთვის სასურველ ფორმატში გადაყვანა - ე.წ. Data Wrangling. განხილულ მაგალითში, ბავშვთა იძულებითი შრომის სხვადასხვა მონაცემი შეიძლება წარმოდგენილი იყოს არაერთი ტიპის (რიცხობრივი, ტექსტობრივი და ა.შ.) მონაცემებად. ამდენად, აუცილებელია ამ მონაცემების ერთიან ფორმატში ტრანსფორმირება.

წინასწარ დამუშავებას მოჰყვება **მოდელის შერჩევისა და სწავლების ეტაპი** - მოდელის შერჩევის პროცესში კრიტიკულად მნიშვნელოვანია შერჩეულმა მოდელმა ეფექტურად გადაჭრას ის პრობლემა, რომელიც პროექტის დაგეგმვის ფაზაში განისაზღვრა. სხვადასხვა ტიპის მოდელები განსხვავდება საჭირო რესურსების მიხედვით. მოდელის სწორი ფუნქციონირებისთვის მონაცემები ორ ძირითად ნაკრებად იყოფა: სასწავლო ნაკრები (Training Set), რომელიც გამოიყენება მოდელის გასაწვრთნელად („სწავლებისთვის“) და სატესტო ნაკრები (Testing Set), რომელიც გამოიყენება მოდელის შეფასებისთვის, რათა შევაფასოთ, რამდენად სწორად პროგნოზირებს ის ახალ მონაცემებზე. აღსანიშნავია, რომ ნაკლებად რესურსიანმა მოდელებმა (Underfitting) შესაძლოა ვერ შეძლონ მონაცემებში არსებული კანონზომიერებების აღქმა და შესაბამისად, ვერ უზრუნველყონ ზუსტი პროგნოზირება. ზედმეტად მორგებული მოდელები (Overfitting) კი, შესაძლოა ზედმეტად კარგად დაემთხვეს სასწავლო მონაცემებს, მაგრამ ვერ მოახდინოს მათი განზოგადება ახალ,

¹² სხვადასხვა ვებ-საიტზე არსებული მონაცემების (Data) ამოღება

უცნობ მონაცემებზე. ეს ხდება მაშინ, როდესაც მოდელი მონაცემებს უბრალოდ "იმახსოვრებს" ნაცვლად იმისა, რომ ამოიცნოს მათში არსებული ზოგადი კანონზომიერებები. წარმოდგენილ მაგალითში, იმისათვის, რომ ესა თუ ის მონაცემები შესაძლო იძულებითი შრომის სამომავლო პროგნოზირებისთვის გამოდგეს საჭიროა რომელიმე მოდელის შერჩევა. ხოლო, ამ მიზნის მისაღწევად ერთ-ერთი ასეთი მოდელი შეიძლება იყოს წრფივი (ხაზოვანი) რეგრესიის მოდელი (Linear Regression Model).¹³

პროცესი გრძელდება **მოდელის ტესტირებითა და ვალიდაციით** - სწავლების შემდეგ, მოდელი ოპტიმიზდება და მოწმდება „უცნობ მონაცემებზე“. ვალიდაციის ნაკრებები გამოიყენება მოდელის უფრო მაღალი დონის პარამეტრების (მაგალითად, ჰიპერპარამეტრების, რომლებიც განსაზღვრავს სწავლების პროცესს) მოსარგებად. ვალიდაციის პროცესში შესაძლებელია მოდელის არქიტექტურის შეცვლა, რათა გაუმჯობესდეს მისი მუშაობა. შემდგომში, მოდელი მოწმდება უცნობ მონაცემებზე, რაც რეალურ სამყაროში გამოყენებას განსახიერებს. ამ გზით დასტურდება მოდელის მუშაობა და სიზუსტე. ამასთან, ამ ეტაპზე შესაძლებელია აუდიტის განხორციელებაც, მათ შორის, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებთან დაკავშირებითაც.

მოდელის ანგარიშის წარდგენა - მას შემდეგ, რაც მოდელი გაივლის, სწავლის, ვალიდაციის, და ტესტირების პროცესს, აუცილებელია მოდელის შეფასება. შეფასების პროცესი მოიცავს სხვადასხვა მოქმედების მაჩვენებლების (performance measures) და ზემოქმედების შეფასებას (impact assessments), ასევე დეტალურ ინფორმაციას მოდელის სამუშაო პროცესის (workflow) შესახებ. ამ მიდგომას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან უზრუნველყოფს გამჭვირვალე და ინფორმირებულ განხილვებს მოდელის შედეგებთან დაკავშირებით. მოდელის ანგარიშის წარდგენით სრულდება ხელოვნური ინტელექტის შემუშავების (Development) ფაზაც.

ხელოვნური ინტელექტის შემდგომი, დანერგვის ფაზა (Deployment) იწყება **რეალურ სამყაროში მოდელის დანერგვით**. მოდელის სწავლებისა და შეფასების შემდეგ, შემდეგი ეტაპი მისი რეალურ გარემოში დანერგვაა. იმპლემენტაციის მიზანი ამ შემთხვევაში მოდელის უფრო ფართო სისტემაში ინტეგრირება და რეალურ დროში მონაცემთა დამუშავებაა. აღნიშნული კი აუცილებელია პროექტის დაგეგმვის ეტაპზე დასახული მიზნების მისაღწევად. მაგალითად, ხელოვნური ინტელექტის პროექტის გუნდმა გადაწყვიტა რომ მითითებულ მაგალითში დასახელებული შესაძლო იძულებითი შრომის გამომვლენი მოდელი მზადაა გამოყენებისთვის. ისინი მოდელს ხელმისაწვდომს გახდიან რამდენიმე აქტორისთვის (მაგალითად, შრომის ინსპექცია, შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა) სთხოვენ მათ რომ იგი საკუთარ მონაცემებზე გამოსცადონ. ამ გზით დგინდება, უზრუნველყოფს თუ არა მოდელი სასარგებლო ანალიზსა და პროგნოზებს რეალურ გამოყენებაში. მოდელის წარმატებული დანერგვა გულისხმობს, რომ ტექნოლოგია ახალ მონაცემებს რეგულარულად ამუშავებს, რაც საშუალებას აძლევს სისტემას დროულად წარმოადგინოს ღირებული მონაცემები და გააუმჯობესოს გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

შემდგომი პროცესი აუცილებლად მოითხოვს სისტემის **მომხმარებლების სათანადოდ მომზადებას** - მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებლებმა კარგად გაიგონ სისტემის ლოგიკა

¹³ წრფივი რეგრესია (Linear Regression) არის მათემატიკური მოდელი, რომელიც გამოიყენება ორ ცვლადის შორის კავშირის აღსაწერად. მარტივად რომ ვთქვათ, წრფივი რეგრესია ცდილობს იპოვოს ყველაზე შესაფერისი სწორი ხაზი, რომელიც მონაცემთა წერტილებს შორის გადის.

და მუშაობის პრინციპები, შეძლონ მოდელის გადაწყვეტილებების მარტივი და გასაგები ახსნა იმ პირებისთვის, ვინც მას იყენებს, დამოუკიდებლად და ობიექტურად შეაფასონ მოდელის ხარისხი, სანდოობა და სამართლიანობა. მაგალითად, როცა გუნდი მომხმარებლებს მოდელის გამოყენებას ასწავლის, მათ ევალუბათ სისტემის შეფასება. მომხმარებლები აგზავნიან უკუკავშირს, რათა გაირკვეს, შესაბამეა თუ არა მოდელი მოლოდინებს სიზუსტის, სანდოობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით.

მოდელის დანერგვის შემდეგ აუცილებელია მისი **მონიტორინგი** - გუნდმა მოდელის მუდმივი მონიტორინგი უნდა განახორციელოს ვინაიდან, რათა მუდმივად შემოწმდეს რამდენად სწორად მუშაობს ის და რამდენად ერგება ახალ გარემოებებს. მაგალითად, შესაძლოა შრომით ურთიერთობებში დაინერგა ახალი სტანდარტი და შეიცვალა კანონმდებლობა. რადგან ეს ცვლადი თავდაპირველ სასწავლო მონაცემებში არ იყო, მონაცემები შესაძლოა არასტანდარტული გახდეს. ამიტომ, აუცილებელი ხდება მოდელის განახლება და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

მონიტორინგს თან ახლავს მოდელის **განახლება ან გაუქმება** - დროთა განმავლობაში მოდელის ეფექტურობა შესაძლოა შემცირდეს, რის გამოც ზედამხედველ გუნდს შესაძლოა მოუწიოს ხელოვნური ინტელექტის განვითარების ადრეულ ფაზებზე დაბრუნება, მათ შორის მოდელის არჩევისა და ხელახალი „სწავლების“ პროცესზე. არ არის გამორიცხული, რომ საჭირო იყოს მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა, მოდელის გაუქმება და დაბრუნება პროექტის დაგეგმვის ეტაპზე.

სწორედ ასეთია ხელოვნური ინტელექტის შექმნის ფაზები, რაც საბოლოო ჯამში, აყალიბებს ე.წ. ხელოვნური ინტელექტის სასიცოცხლო ციკლს (AI lifecycle). მისი მუშაობის პროცესის უფრო დეტალურად გაგება სიცხადეს შემატებს ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებს, მის დადებით მხარეებსა და კონკრეტულ რისკებს. შეჯამების სახით, უნდა ითქვას, რომ ხელოვნური ინტელექტი ყველაზე მარტივი და არა ტექნიკური ენით არის მანქანური ტექნოლოგიების გამოყენებით მონაცემების გამოყენება კონკრეტული პროგნოზების გასაკეთებლად, იგი ერთგვარი შემეცნების (მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის) უნარია. მანქანური ტექნოლოგიები გამოიყენება მონაცემების შაბლონების მოსაძებნად კონკრეტული შედეგის პროგნოზისთვის. მისი საშუალებით კომპიუტერულ ტექნოლოგიას შეუძლია სხვადასხვა მონაცემების მსგავსება განსხვავებების პოვნა მისი პარამეტრების განმეორებითი რეგულირების გზით. როდესაც შეყვანილი მონაცემები იცვლება, შედეგებიც შესაბამისად იცვლება, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპიუტერი ახალ კანონზომიერებებს აღიქვამს.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ეთიკური პრინციპები და სამართლებრივი ინსტრუმენტები

ეთიკური პრინციპები

თანამედროვე სამყაროში ხელოვნური ინტელექტის შექმნისა და გამოყენების პარალელურად, აუცილებელი გახდა საკითხთან დაკავშირებული მარეგულირებელი ბაზის შექმნა. ამ თვალსაზრისით, 2019 წელს დაიწყო მუშაობა ევროპის საბჭოს ფარგლებში. აღნიშნული პროცესის ფარგლებში განისაზღვრა ხელოვნური ინტელექტის შექმნისა და

გამოყენების ცხრა ძირითადი პრინციპი და პრიორიტეტი,¹⁴ რასაც ევროპის საბჭოს პოზიციით უნდა დაეფუძნოს ყველა სახის სავალდებულო და არასავალდებულო სამართლებრივი მექანიზმი. კერძოდ, **ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა** - მოთხოვნა ხაზს უსვამს ადამიანის ღირსების ხელშეუვალობას, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ადამიანების ალგორითმული შეფასებისა და მანიპულირებისთვის დაუშვებელია. **ადამიანის თავისუფლება და ავტონომია** - ეს პრინციპი ნიშნავს, რომ მხოლოდ ადამიანმა უნდა გადაწყვიტოს როდის, როგორ და რა ფორმით უნდა იქნეს გამოყენებული ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები. ამგვარი ტექნოლოგიები მხოლოდ უნდა ეხმარებოდნენ ადამიანს და დაუშვებელია გამოყენებულ იქნეს მათი ქცევის ფორმირების ან/და კონტროლისთვის. **ზიანის თავიდან აცილების** პრინციპი - მოითხოვს რომ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გამოყენებამ არ უნდა ავნოს ადამიანების ფიზიკურ თუ მენტალურ ჯანმრთელობას, აგრეთვე, ბიოსფეროს მდგრადობას. მოწყვლადი ჯგუფები განსაკუთრებული დაცვით სარგებლობენ. ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებმა არ უნდა მოახდინონ უარყოფითი გავლენა ადამიანების კეთილდღეობასა და პლანეტის ჯანმრთელობაზე. **დისკრიმინაციის აკრძალვის, თანასწორობის, სამართლიანობისა და მრავალფეროვნების** პრინციპის მიხედვით, ხელოვნური ინტელექტი უნდა შეიქმნას და ფუნქციონირებდეს თანასწორობის ზოგადი პრინციპის დაცვით.

ხელოვნური ინტელექტის **გამჭირვალობისა და განმარტების** პრინციპი ყურადღებას ამახვილებს ადამიანებისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებაზე თუ კი გარკვეულ სერვისებსა და საინფორმაციო პროდუქტებში ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები გამოიყენება. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება გულისხმობს მათ შორის, იმის განმარტებას თუ როგორ არის შექმნილი სისტემა, როგორ მუშაობს, და რა როლი აქვს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. **პირადი ცხოვრებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის** პრინციპი - ხაზს უსვამს პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებას. პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დაცულობის გარდა, ამ პრინციპის მიხედვით, მნიშვნელოვანია სუბიექტის ინფორმირებული, ნებაყოფლობითი და ცალსახად გამოხატული თანხმობის არსებობა. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არის **პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების** პრინციპი, რომლის თანახმადაც, ყველა პირი ვინც ჩართული იყო ხელოვნური ინტელექტის შექმნისა და დანერგვის პროცესში, პასუხისმგებელია მიყენებული ზიანის ან მოქმედი სამართლებრივი ნორმების დარღვევის შემთხვევაში. უნდა არსებობდეს რეალური და ეფექტური სამართლებრივი საშუალებები მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და დარღვეულ უფლებაში აღდგენისთვის.

ხელოვნური ინტელექტის შექმნისა და გამოყენების პროცესი აგრეთვე უნდა ეფუძნებოდეს **დემოკრატიისა და ზედამხედველობის** პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ ხელოვნური ინტელექტის შექმნისა და გამოყენების ფაზაში უნდა არსებობდეს გამჭირვალე და ინკლუზიური ზედამხედველობის მექანიზმები. აგრეთვე, დიდ მნიშვნელობას ატარებს **სამართლის უზენაესობის** პრინციპი - ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებმა არ უნდა დააზიანოს სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, აგრეთვე, პროცესის სამართლიანობა. აღნიშნულის მისაღწევად კი აუცილებელია მონაცემთა დამუშავება ეფუძნებოდეს სამართლიანობის, გამჭირვალობისა და სანდოობის ზოგად პრინციპებს.

¹⁴ Ad hoc Committee on Artificial Intelligence, Feasibility Study, Strasbourg, 17 December 2020, Council of Europe

ევროსაბჭოს ჩარჩო კონვენცია

ევროპის საბჭოს ჩარჩო-კონვენცია ხელოვნური ინტელექტი და ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა არის პირველი სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო ხელშეკრულება. კონვენციის მიზანია უზრუნველყოს ხელოვნური ინტელექტის შექმნისა და გამოყენების შესაბამისობა ადამიანის უფლებებთან, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობასთან.¹⁵

კონვენციით აგრეთვე განსაზღვრულია ხელოვნური ინტელექტის შექმნისა და გამოყენების ეტაპზე გარკვეული პრინციპების დაცვის ვალდებულებაც. კონვენცია დამატებით უსვამს ხაზს სახელმწიფოთა ვალდებულებებზე ხელი შეუწყონ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების სანდოობის ზრდასა და ზოგადად, მის მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას. ამ ნაწილში, სახელმწიფოთა ვალდებულებები მოიცავს ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების შემუშავებისა და გამოყენების ფაზაში ხარისხისა და უსაფრთხოების ნორმების დანერგვას. კონვენცია აგრეთვე დამატებით ეხება უსაფრთხო ინოვაციების საკითხს. კერძოდ, სახელმწიფოებს შეუძლიათ წახალისონ ხელოვნური ინტელექტის შექმნა და მასთან დაკავშირებული ცდების ჩატარება, თუმცა ამისთვის უნდა არსებობდეს ტესტირებისა და ექსპერიმენტებისთვის კონტროლირებადი გარემო და უნდა განხორციელდეს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს ზედამხედველობის ქვეშ.

რაც შეეხება უფლების დაცვის ეფექტურ საშუალებებს, ამ მიმართულებით კონვენციის ტექსტი საკმაოდ მოცულობითი და დეტალურია. ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევაში ეფექტური უფლების დაცვის საშუალებების შექმნის ვალდებულების გარდა, დოკუმენტირებული, ხელმისაწვდომი და საჭიროების შემთხვევაში, დაზარალებულისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს უნდა ხელოვნური ინტელექტის კონკრეტული ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაცია. დამატებით, დაინტერესებულ პირებს უნდა შეძლონ გაარკვიონ რატომ და როგორ მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილება ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიამ. ამასთან, მათ უნდა შეძლონ გაასაჩივრონ ტექნოლოგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ან თავად ხელოვნური ინტელექტის გამოყენება.

კონვენცია ცალკე ითვალისწინებს ხელოვნური ინტელექტის რისკების შეფასებასთან დაკავშირებულ სახელმწიფოს ვალდებულებებს. კერძოდ, სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ ხელოვნური ინტელექტის ზეგავლენა ადამიანის უფლებებზე, დემოკრატიაზე და კანონის უზენაესობაზე და ამგვარი ტექნოლოგიების შექმნისა და გამოყენების ეტაპზე, რეგულარულად და განმეორებითად უნდა მოახდინონ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირება, შეფასება, შემცირება და პრევენცია. ამ პროცესში, გათვალისწინებული უნდა იყოს უარყოფითი პოტენციური ზემოქმედების სიმძიმე და ალბათობა, თავად პროცესი უნდა იყოს დოკუმენტირებული და ღია, რაც გულისხმობს დაინტერესებული პირების მხრიდან მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობასაც. სახელმწიფოები სარგებლობენ შესაძლებლობით აკრძალონ ან მორატორიუმი გამოაცხადონ კონკრეტული სისტემების გამოყენებაზე თუ მისი ფუნქციონირება შეუთავსებელია კონვენციაში განმტკიცებულ გარანტიებთან. კონვენცია აგრეთვე ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებებს ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას საზოგადოების აქტიურ მონაწილეობასთან და

¹⁵ Council of Europe Framework Convention on Artificial Intelligence and Human Rights, Democracy and the Rule of Law, Adopted on September 5th 2024, ETC 225,

ზოგადად, საზოგადოებაში ციფრული განათლებისა და უნარების განვითარების ხელშეწყობასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ ხელოვნური ინტელექტის კომიტეტმა, ჩარჩო კონვენციის მოქმედების ფარგლებში, აგრეთვე შეიმუშავა ხელოვნური ინტელექტის სისტემების რისკებისა და ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგია (ე.წ. „HUDERIA“)¹⁶ რომელიც ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის თვალსაზრისით ხელოვნური ინტელექტის რისკების და ზეგავლენის შეფასების ერთგვარი სახელმძღვანელოა.

ევროპის კავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტი (AI Act)

მართალია ევროპის კავშირის („ევროკავშირი“) ხელოვნური ინტელექტის აქტი პირდაპირ არ მიემართება საქართველოს, თუმცა ეს არის პირველი საკმაოდ დეტალური სამართლებრივი რეგულაცია ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის, რომელიც აწესრიგებს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების საკითხებს გაერთიანების ფარგლებში.¹⁷ აღნიშნულ აქტში ინოვაციური გახლავთ ის, რომ იგი ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებს რისკზე დაფუძნებული მიდგომით ყოფს. კერძოდ, აქტი იცნობს დაუშვებელ, მაღალ, შეზღუდულ და მინიმალური რისკის მქონე ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებს.

დაუშვებელი რისკების კატეგორიის ტექნოლოგიების გამოყენება საერთოდ აკრძალულია, მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ სოციალურ ქულებზე დაფუძნებული შეფასება ე. წ. Social Scoring. აკრძალულია აგრეთვე მანიპულაციური ტექნოლოგიების გამოყენება, დაუშვებელია წინასწარი ნებართვისა და მკაცრად განსაზღვრული მიზნის გარეშე საჯარო სივრცეში ბიომეტრიული მონაცემების (სახის ამომცნობი სისტემების) გამოყენება, სამუშაო ადგილზე ან საგანმანათლებლო სივრცეში ემოციების ამოცნობა. AI აქტი ასევე კრძალავს მოწყვლადი ჯგუფების მოწყვლადობის გამოყენებას. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა საფრანგეთის მაგალითი, როცა სოციალური დაცვის სააგენტო იყენებდა ალგორითმს, რომლის მიზანი იყო გამოევიდნა ის პირები, რომლებიც სოციალურ დახმარებას მოტყუების ან თაღლითობის გზით იღებდნენ. სხვადასხვა კრიტერიუმზე დაყრდნობით, ალგორითმი თავად იღებდა გადაწყვეტილებას თუ ვინ უნდა აერჩია. აღმოჩნდა, რომ სისტემა დაუსაბუთებლად ხშირად არჩევდა შშმ პირებს, მარტოხელა მშობლებს (ძირითადად ქალებს) და მიგრანტებს. უფლებადამცველი ორგანიზაციები მიიჩნევენ რომ ალგორითმის მუშაობა გაუმჭირვალე და დისკრიმინაციულია.¹⁸

მაღალი რისკის სისტემები ექვემდებარებიან მკაცრ რეგულაციებს. ევროკავშირის აქტი თავად ჩამოთვლის ამგვარ სისტემებს.¹⁹ მაგალითად, როდესაც ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები გამოყენება ბიომეტრიული მონაცემების მოსაპოვებლად, საგზაო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაშვებისა და შეფასებისთვის, შრომით ურთიერთობებში - დაწინაურებისა და გათავისუფლებისთვის, სახელმწიფოს მხრიდან სოციალური სერვისების მიწოდების პროცესში მისაღებ

¹⁶ Council of Europe, Committee on Artificial Intelligence (CAI). Methodology for the Risk and Impact Assessment of Artificial Intelligence Systems from the Point of View of Human Rights, Democracy and the Rule of Law (HUDERIA Methodology). CAI(2024)16rev2, 28 Nov. 2024, Strasbourg.

¹⁷ Regulation (EU) 2024/1689 of the European Parliament and of the Council of 13 March 2024 laying down harmonised rules on artificial intelligence and amending certain Union legislative acts (AI Act)

¹⁸ იხ. ვრცლად https://www.amnesty.org/en/latest/news/2024/10/france-discriminatory-algorithm-used-by-the-social-security-agency-must-be-stopped/?utm_source=chatgpt.com

¹⁹ AI Act, ANNEX III

გადაწყვეტილებებზე, მტკიცებულებების სანდოობის შეფასებისთვის გამოძიების ან დევნის ეტაპზე, თავშესაფრის მინიჭების, მიგრაციისა და საზღვრის კვეთისას ფიზიკური პირების ამოცნობისა და იდენტიფიცირების პროცესში, არჩევნების შედეგებზე ზეგავლენის მოსახდენად და ა.შ.

შეზღუდული რისკის მქონე ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებზე ვრცელდება ზოგადი გამჭირვალობისა და ინფორმირებულობის მოთხოვნები, ცხადია, მათზე ვრცელდება მონაცემთა დამუშავების კანონიერებასთან დაკავშირებული ვალდებულებებიც. რაც შეეხება მინიმალური რისკის მქონე ტექნოლოგიებს, (მაგალითად, სპამ ფილტრები, ვიდეო თამაშებში გამოყენებული ტექნოლოგიები) ისინი არ ახდენენ რაიმე არსებით ზეგავლენას ადამიანის უფლებებზე, შესაბამისად, ისინი რაიმე ტიპის სპეციალურ რეგულირებას არ ექვემდებარებიან.

სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები და უფლების დაცვის ტრადიციული მექანიზმები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) უმაღლესი კომისარმა გამოაქვეყნა ანგარიში „პირადი ცხოვრების უფლება ციფრულ ეპოქაში“, სადაც აღნიშნულია რომ ხელოვნურ ინტელექტს მზარდი გავლენა აქვს პირადი ცხოვრების დაცულობასა და ადამიანის სხვა უფლებებზე. საერთაშორისო დონეზე, ანგარიში გახლავთ ერთ-ერთი პირველი დოკუმენტი, რომელიც ხაზს უსვამს ხელოვნური ინტელექტისა და ადამიანის უფლებების არსებით კავშირს, საუბრობს ამგვარი ტექნოლოგიების გამოყენების რეგულირებასა და ადამიანის უფლებებთან აუცილებელ შესაბამისობაზე.

ანგარიშის ფარგლებში, კომისარმა არაერთი რეკომენდაციით მიმართა წევრ სახელმწიფოებს, მათ შორის, სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ ადამიანის უფლებათა დაცვისა და განმტკიცების საჭიროება ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასა და მმართველობის დროს. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება თანხვედრაში უნდა იყოს ადამიანის უფლებებთან, ნებისმიერ უფლებაში ჩარევა უნდა განხორციელდეს საერთაშორისო სამართლის ზოგადი წესის შესაბამისად. ამასთან, სახელმწიფოებმა უნდა აკრძალონ ხელოვნური ინტელექტის იმგვარი ტექნოლოგიების გამოყენება, რომელიც ადამიანის უფლებებთან არ არის თავსებადი. იმ შემთხვევაში კი, როცა ამგვარი ტექნოლოგიების გამოყენებას ადამიანის უფლებების დარღვევა მოჰყვება, უნდა არსებობდეს უფლების დაცვისა და ზიანის ანაზღაურების ქმედითი მექანიზმები.²⁰

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) ჯერ კიდევ 2019 წელს მიიღო ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პრინციპები და მთავრობათაშორის დონეზე პირველმა დაამკვიდრა ამგვარ პრინციპებზე შეთანხმება. პრინციპების დადგენის უმთავრესი მიზანი სანდო, ინოვაციური და ადამიანის უფლებებთან შესაბამისობაში მყოფი ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების განვითარებაა. OECD-ის მიერ დამტკიცებულია ხუთი ძირითადი პრინციპი, რომელიც აქცენტს ადამიანისა და პლანეტის ზოგად კეთილდღეობაზე, ადამიანის ღირსებასა და ავტონომიურობაზე, უსაფრთხო, ანგარიშვალდებულ და გამჭვირვალე ხელოვნური ინტელექტის შექმნასა და გამოყენებაზე აკეთებს.²¹

²⁰ United Nations High Commissioner for Human Rights. (2021). The right to privacy in the digital age: Report of the United Nations High Commissioner for Human Rights (A/HRC/48/31). United Nations

²¹ OECD Principles on Artificial Intelligence (2019)

აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ტრადიციული სამართლებრივი მექანიზმები შეიძლება აგრეთვე იქნეს გამოყენებული ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებთან მიმართებითაც. ამ ნაწილში საუბარია ადამიანის უფლებათა იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებზე, რომელიც ტრადიციულად გამოიყენება კიდეც. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ევროპის სოციალური ქარტია, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, აგრეთვე, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტები და სხვა. მართალია არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი ხელშეკრულება არ იცნობს ტერმინს „ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები“ თუმცა, აღნიშნული სრულიად არ აზრკოლებს სასამართლოს/შესაბამის კომიტეტებს იმსჯელოს აღნიშნულ საკითხებზეც. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის პროცესში განმცხადებლის დაკავების მიზნით, მისი იდენტიფიკაციისა და ადგილმდებარეობის დადგენისთვის გამოიყენებოდა სახის ამომცნობი ტექნოლოგია, რაც პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებაში განსაკუთრებით ინტენსიურ ჩარევას უტოლდებოდა. ვინაიდან, არ არსებობდა სახის ამომცნობი სისტემის გამოყენების პროცედურული გარანტიები და კონკრეტული საკანონმდებლო მოთხოვნები, ევროსასამართლომ პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევა დაადგინა.²²

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საქართველოში

2024 წლის სექტემბერში საქართველომ ხელი მოაწერა ევროპის საბჭოს ჩარჩო-კონვენციას, შესაბამისად, ქვეყანა არის იმ მოწინავე 10 სახელმწიფოს შორის, რომლებმაც ხელი მოაწერეს მსოფლიოში პირველ საერთაშორისო კონვენციას ხელოვნური ინტელექტის შესახებ.²³ მართალია, ჯერჯერობით ხელშეკრულება სავალდებულოდ აღიარებული არ არის და საქართველოს პარლამენტს მისი რატიფიცირება არ მოუხდენია, თუმცა ხელმოწერა თავისთავად წარმოშობს ხელშეკრულების მიზნებისა და საგნის პატივისცემის ვალდებულებას.

აღსანიშნავია, რომ ქართული კანონმდებლობა ჯერჯერობით ტერმინს ხელოვნური ინტელექტის განმარტებას არ განსაზღვრავს და შესაბამისად, საკითხი რეგულირების მიღმაა. მიუხედავად, სპეციალური კანონმდებლობის არარსებობისა, საჯარო სექტორში ტექნოლოგიები ექვემდებარება გარკვეული მასშტაბის რეგულირებას, რაც შესაძლოა გავრცელდეს ხელოვნური ინტელექტზეც. თუმცა, ხელოვნური ინტელექტის მუშაობის მახასიათებლებიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში, ამგვარი მოწესრიგებების გავრცელება საკითხს კიდევ უფრო მეტ ბუნდოვანებას მატებს.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის აპრილში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა "საქართველოს ციფრული მმართველობის 2025-2030 წლების სტრატეგია",²⁴ რომელიც ციფრული მმართველობის სფეროში მთავრობის გრძელვადიან ხედვას წარმოადგენს.

²² გლუხინი რუსეთის წინააღმდეგ (*Glukhin v. Russia*), განაცხადი 11519/20, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება

²³ ინფორმაცია ხელმისაწვდომია < <https://shorturl.at/2zkLt> > [01.05.2025]

²⁴ იხ. „საქართველოს ციფრული მმართველობის 2025 – 2030 წლების სტრატეგიისა“ და „საქართველოს ციფრული მმართველობის 2025 – 2030 წლების სტრატეგიის 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 3 აპრილის №100 დადგენილება

სტრატეგიაში ციფრული მმართველობის განვითარების მიმართულებებია მოცემული და მის წინაშე არსებულ გამოწვევებთან გამკლავების გზებს განსაზღვრავს. დოკუმენტი მიზნად ისახავს ინოვაციური, მომხმარებელზე ორიენტირებული და უსაფრთხო ციფრული მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებას.²⁵

სტრატეგიაში მითითებულია, რომ ქვეყანაში არ არსებობს ხელოვნური ინტელექტის სისტემებზე დაფუძნებული პროგრამული უზრუნველყოფების ერთიანი განმარტება, საკანონმდებლო ჩარჩო და ერთიანი ბაზა, სადაც მოცემული იქნებოდა საჯარო დაწესებულებების მიერ დანერგილი ხელოვნური ინტელექტის სისტემების ერთიანი ჩამონათვალი ზოგადი აღწერითა და სხვა მნიშვნელოვანი დეტალით.²⁶ ამასთან, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიების საჯარო სექტორში დანერგვის და გამოყენების პროცესში სახელმწიფოს ჰქონდეს ერთიანი ხედვა და სტრატეგია, რათა შესაძლებლობებთან ერთად, გათვალისწინებული იყოს ის საფრთხეებიც, რომლებიც შესაძლოა თან სდევდეს აღნიშნული ტექნოლოგიების დანერგვას. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვანია **მომზადდეს ქვეყანაში არსებული სიტუაციის მიმოხილვა**, რომელიც გამოავლენდა ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლებლობებს, განსაკუთრებით – ციფრული სერვისების მიწოდებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ვებმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით. ასევე, ხელოვნური ინტელექტის სწრაფად მზარდი შესაძლებლობების გათვალისწინებით, სტრატეგიაში განვითარებული ხედვის თანახმად, მიზანშეწონილია, **პრევენციულად შემუშავდეს** ხელოვნური ინტელექტის რეგულირების ეთიკური და სამართლებრივი ჩარჩო საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების და სხვა მაღალტექნოლოგიური ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

ხელოვნური ინტელექტის რეგულირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და რეგულირების სფერო

საჯარო სექტორში ხელოვნურ ინტელექტის გამოყენებასთან ამათუ იმ ფორმით დაკავშირებულია „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და „საინფორმაციო ტექნოლოგიური ზონების შესახებ“ საქართველოს კანონები და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები.

„ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია ხელი შეუწყოს ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის ქმედით და ეფექტიან განხორციელებას, კანონით ასევე განსაზღვრულია ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების სახელმწიფო კონტროლის მექანიზმები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კანონის მიზანია კრიტიკული ინფორმაციული სისტემების²⁷ დაცვა. ამგვარი კრიტიკული ინფორმაციის მატარებელ დაწესებულებებს განსაზღვრავს მთავრობა, შესაბამისი დადგენილებით.²⁸ აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრულია 70 ზე მეტი სახელმწიფო/საჯარო დაწესებულება (I კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტები) და 30

²⁵ ინფორმაცია ხელმისაწვდომია < <https://shorturl.at/Ax2iM> > [16.04.2025]

²⁶ საქართველოს ციფრული მმართველობის 2025-2030 წლების სტრატეგია, გვ. 27

²⁷ ინფორმაციული სისტემა, რომლის უწყვეტი ფუნქციონირება მნიშვნელოვანია ქვეყნის თავდაცვისათვის ან/და ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის, სახელმწიფო ხელისუფლების ან/და საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

²⁸ იხ. პირველი, მეორე და მესამე კატეგორიების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 დეკემბრის №646 დადგენილება

მდე კერძო კომპანია (II და III კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტები).

როგორც ზემოთ აღინიშნა, „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ კანონი არ იცნობს ტერმინს „ხელოვნური ინტელექტი“, შესაბამისად, იგი პირდაპირ არ კრძალავს მის გამოყენებას. მიუხედავად ამისა, ამა თუ იმ სახელმწიფო/საჯარო დაწესებულების საინფორმაციო სისტემაში ნებისმიერი ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, თავისთავად უნდა პასუხობდეს ამ კანონით დადგენილ მთელ რიგ მოთხოვნებს. ევროპის საბჭოს კონვენციიდან თუ სხვა საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე, აუცილებელია დამოუკიდებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნა. სხვა შემთხვევაში, საფრთხე ექმნება არა მარტო საჯარო/სახელმწიფო დაწესებულებებში ხელოვნური ინტელექტის დანერგვის გამჭირვალე და თანმიმდევრულ პროცესს, არამედ ბუნდოვანია კონკრეტული დაწესებულებების უფლებამოსილებათა ფარგლების საკითხიც.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენების საკითხს არაპირდაპირ ეხება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონიც, კერძოდ, მისი 31-ე მუხლი აწესებს ახალი ტექნოლოგიების გამოყენების შემთხვევაში მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების ვალდებულებას. კერძოდ, თუ მონაცემთა დამუშავებისას **ახალი ტექნოლოგიების**, მონაცემთა კატეგორიის, მოცულობის, მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და საშუალებების გათვალისწინებით, მაღალი ალბათობით იქმნება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების **შელახვის საფრთხე**, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია წინასწარ განახორციელოს მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება. ამგვარი ზეგავლენის შეფასება აუცილებელია იმ შემთხვევაშიც, როცა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მონაცემთა სუბიექტისთვის სამართლებრივი, ფინანსური ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის შედეგის მქონე გადაწყვეტილებას იღებს სრულად ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე.²⁹ აღნიშნული ჩანაწერი ევროკავშირის მონაცემთა დაცვის რეგულაციის (GDPR) მოთხოვნის იდენტურია.³⁰ აღსანიშნავია, რომ ამგვარი სისტემები ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტის თანახმად, განეკუთვნება მაღალი რისკის მქონე ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებს.

ევროკავშირისგან განსხვავებით, საქართველოში არ არსებობს ხელოვნური ინტელექტის შექმნა/გამოყენებასთან დაკავშირებული ერთიანი მარეგულირებელი აქტი, და ამ ეტაპზე, საკითხი მხოლოდ პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შემოწმებით ამოიწურება. ამასთან, იმ პირობებში როცა არ არსებობს „ხელოვნური ინტელექტის“ ცნება ბუნდოვანია კანონში არსებული „ახალი ტექნოლოგიების“ მნიშვნელობა და ფარგლებიც. ვინაიდან, ახალი ტექნოლოგია შესაძლოა საერთოდ არ შეიცავდეს ხელოვნური ინტელექტის აუცილებელ მახასიათებლებს. ნებისმიერ შემთხვევაში, როცა არ არსებობს ხელოვნური ინტელექტის შექმნისა და გამოყენების ზოგადი პრინციპები, რეგულაციები და სავალდებულოდ გასათვალისწინებელი მოთხოვნები, მხოლოდ მონაცემთა დამუშავების კუთხიდან საკითხის დანახვა არასრული და არასაკმარისია.

„საინფორმაციო ტექნოლოგიური ზონების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია ინვესტიციების მოზიდვა და მიმზიდველი გარემოს შექმნა იმ პირობისათვის, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობას განახორციელებენ საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში.

²⁹ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 3144-XIმს-Xმპ, მუხლი 31, პუნქტი 1,2

³⁰ GDPR, Article 35, 2016

კანონი განმარტავს მათ შორის, საინფორმაციო ტექნოლოგიები ცნებასაც - კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების შესწავლა, მხარდაჭერა, განვითარება, დიზაინი, წარმოება და დანერგვა, რის შედეგადაც მიიღება პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტები. კანონი შესაბამისი სტატუსის მქონე პირებს გარკვეული ტიპის საგადასახადო შეღავათებს უწესებს. მართალია, კანონი არ იყენებს ტერმინს „ხელოვნური ინტელექტი“ თუმცა, საინფორმაციო ტექნოლოგიების ფართო ცნება შესაძლოა გავრცელდეს „ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებზე“. რაც იმას გულისხმობს, რომ კომპანია/პირი რომელიც ისახავს მიზნად ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები შექმნას, აქვს შესაბამისი სტატუსი და აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, საქართველოში სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით.

მართალია ევროსაბჭოს შესაბამისი კონვენციით, სახელმწიფოებმა „ხელი უნდა შეუწყონ“ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების განვითარებას, თუმცა უმთავრესი საკითხია, რომ არსებობდეს უსაფრთხო გარემო, კონკრეტული რეგულაციები და მოთხოვნები, რაც თავიდან აირიდებს ადამიანის უფლებებთან შეუსაბამობაში მყოფი ტექნოლოგიების შექმნასა და გამოყენებას. იმ პირობებში როდესაც ქვეყანაში არ არსებობს ხელოვნური ინტელექტის შექმნასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული რეგულაციები, პრინციპები, საზედამხედველო ორგანოები და საკითხი სრულიად არის რეგულირების მიღმა, „საინფორმაციო ტექნოლოგიური ზონების შესახებ“ კანონით დადგენილი წახალისების მექანიზმები კიდევ უფრო მეტ რისკს ქმნის ქვეყანაში შეიქმნას და არსებობდეს იმგვარი ხელოვნური ინტელექტის მექანიზმები, რომელიც არ არის შესაბამისობაში ადამიანის უფლებებთან. ამ თვალსაზრისით, არ არის დაზღვეული დაუშვებელი რისკის მქონე ტექნოლოგიების შექმნა, ოპერირება და გაყიდვა, აგრეთვე, რეგულირების არარსებობის პირობებში, მაღალი რისკის მქონე ტექნოლოგიების მუშაობაც უკონტროლო ხდება.


ამდენად, ქართული კანონმდებლობა არ განმარტავს ტერმინს „ხელოვნური ინტელექტი“, შესაბამისად, მისი შექმნა თუ გამოყენება რაიმე ფორმით რეგულირებული არ არის. რაც შეეხება დაკავშირებულ კანონმდებლობას, იმ პირობებში, როცა არ არის გათვალისწინებული ხელოვნური ინტელექტის განსაკუთრებული მახასიათებლები, არსებულ ნორმატიული აქტების ხელოვნურ ინტელექტზე პირდაპირი გავრცელება საკითხს კიდევ უფრო მეტ ბუნდოვანებას მატებს და იზრდება ადამიანის უფლებათა დარღვევის რისკებიც.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პრაქტიკა ადმინისტრაციულ ორგანოებში


როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული ხელოვნური ინტელექტის ცნება და, რეალურად, არ არის შექმნილი ის სამართლებრივი არქიტექტურა, რომელიც აუცილებელია ხელოვნური ინტელექტის სისტემის იმგვარი ოპერირებისთვის, რომ დაზღვეული იყოს მისგან მომდინარე უფლებრივი რისკები. მეტიც, ამ პირობებში სრულიად ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციაზეა დამოკიდებული ხელოვნურ ინტელექტზე დამყარებული პროდუქტების შექმნა, შეძენა და სარგებლობა.

პრაქტიკაში არსებული სურათის შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატი გაეცნო საქართველოს სამინისტროების, დამოუკიდებელი უწყებების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების პრაქტიკას.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ადმინისტრაციულ ორგანოებში I



ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ადმინისტრაციულ ორგანოებში II



საჯარო დაწესებულებებიდან, ხელოვნური ინტელექტის სისტემათა გამოყენების შესახებ მიღებული ინფორმაციის ანალიზი არაერთ გამოწვევაზე მიუთითებს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო დაწესებულებების დიდი ნაწილი თავისი საქმიანობის ფარგლებში, სხვადასხვა პროგრამას თუ პლატფორმას იყენებს აქტიურად. მართალია ამ ანგარიშის მიზანი არ იყო ზოგადად ტექნოლოგიების და პროგრამების გამოყენების კუთხით არსებული პრაქტიკის შესწავლა და ფოკუსი ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პრაქტიკა იყო, თუმცა უწყებების მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობაც კი ადასტურებს რომ ქვეყანაში ნამდვილად

პრობლემაა ციფრული მმართველობის მხარდამჭერი პროცესებისა და ელემენტების არაერთგვაროვნება, როგორც ეს აღნიშნულია და განხილული საქართველოს ციფრული მმართველობის (2025-2030) სტრატეგიაში.³¹

აღსანიშნავია, რომ 77 უწყებიდან 73-ის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ანგარიშის მომზადების დროისთვის, საერთოდ არ გამოიყენება ხელოვნური ინტელექტი. ადმინისტრაციული ორგანოების მცირე ნაწილში კი ხელოვნური ინტელექტის გამოყენების საინტერესო სურათია. კერძოდ, 2 უწყება პირდაპირ უთითებს რომ მათ საქმიანობაში გამოიყენება ხელოვნური ინტელექტის პროდუქტები, 2 უწყების მიერ მოწოდებულია მხოლოდ სისტემების/პროგრამული უზრუნველყოფის ჩამონათვალი, რომელშიც შედის ხელოვნური ინტელექტი, თუმცა იგი ასეთად არ არის იდენტიფიცირებული. უწყებებს შორის 2 მიუთითებს, რომ აქვთ წვდომა ასეთ პროდუქტზე თუმცა გადაწყვეტილებების მიღების დროს მათი გამოყენება არ ხდება. ასევე საინტერესოა შემთხვევები, როცა ორი ადმინისტრაციული ორგანო საერთოდ არ მიუთითებს რომ სარგებლობს ხელოვნური ინტელექტით, მაშინ როცა საჯარო წყაროებით მოპოვებული ინფორმაციით კონკრეტული პროგრამები ხელოვნური ინტელექტის პროდუქტს წარმოადგენს. ერთ შემთხვევაში კი უწყება მიუთითებს რომ წარსულში იყენებდა ხელოვნური ინტელექტის შემცველ პროგრამულ უზრუნველყოფას.

იმ უწყებებიდან რომელიც მისივე მითითებით, იყენებს ხელოვნურ ინტელექტს, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია **სსიპ შემოსავლების სამსახურის** დანერგილი სისტემები. უწყება მიუთითებს, რომ პირის დისტანციური იდენტიფიკაციის სისტემების გარდა, ხელოვნური ინტელექტს იყენებს პროგრამა- ABBYY FlexiCapture.³² ეს პროგრამა დოკუმენტების მონაცემების ამოცნობის და ანალიზის ინსტრუმენტია, რომელიც ავტომატურად იცნობს და აანალიზებს დოკუმენტებში არსებულ მონაცემებს. საამისოდ იგი ხელოვნური ინტელექტის ალგორითმებს იყენებს.³³ აღსანიშნავია, რომ უწყებას ხელოვნური ინტელექტის კომპონენტი სამართლებრივი აქტების ძებნისთვის შექმნილ პლატფორმაზე, ჭკვიანი ძიების სისტემაშიც აქვს ინტეგრირებული.³⁴ მეტიც, უწყება მოქალაქეთა კონსულტირებისთვის ჩატბოტის სისტემასაც იყენებს.³⁵ ამავდროულად, უწყება პირთა დისტანციური იდენტიფიცირებისთვის იყენებს კომპანია Identomat Inc.-ის მიერ წარმოებულ პროგრამა Identomat-ს, რომელსაც, მისივე მითითებით, შეიცავს ხელოვნური ინტელექტის სისტემას.³⁶

შესწავლის პროცესში, სახალხო დამცველის აპარატს სსიპ შემოსავლების სამსახურმა მიაწოდა მაღალი ავტომატიზაციის პროგრამული უზრუნველყოფის ჩამონათვალიც, რომელიც საბაჟო კონტროლის ფარგლებში გამოიყენება თუმცა უწყების მითითებით, არ შეიცავს ხელოვნური ინტელექტის სისტემებს.³⁷ სსიპ შემოსავლების სამსახურს გააჩნია რიგი მარეგულირებელი ნორმები და წესები ხელოვნური ინტელექტის გამოყენების

³¹ „საქართველოს ციფრული მმართველობის 2025 – 2030 წლების სტრატეგიისა“ და „საქართველოს ციფრული მმართველობის 2025 – 2030 წლების სტრატეგიის 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 3 აპრილის №100 დადგენილების დანართი, სტრატეგია გვ. 30-33. იხ. <https://shorturl.at/B9psh> [13/05/2025]

³² სსიპ შემოსავლების სამსახურის 2024 წლის 24 დეკემბრის 9133/2024 წერილი;

³³ იქვე.

³⁴ იქვე.

³⁵ იქვე.

³⁶ იქვე.

³⁷ იქვე; ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენება საქართველოში: კანონმდებლობა და პრაქტიკა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2021, გვ. 23; 35. <https://rb.gy/wakzqu> [02/05/2025]

თაობაზე, თუმცა სახალხო დამცველის შეფასებით, ეს ნორმები არ მოიცავს ხელოვნური ინტელექტის პროდუქტების მარეგულირებელი ნორმების საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ ყველა ელემენტს.³⁸

ასევე საინტერესოა, **სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს** მითითება, რომ მათ მიერ დანერგილი გონიერი კონტრაქტის მომსახურების ფარგლებში, პირის დისტანციური იდენტიფიცირებისას, გამოიყენება ხელოვნური ინტელექტი, თუმცა მისი რეგულირება დანახულია მხოლოდ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და არა პროგრამული კომპონენტების/მახასიათებლების სამართლებრივი მოწესრიგების კუთხით.³⁹ ამავდროულად, უწყების მიერ მოწოდებულ აღწერაში მოცემულია მხოლოდ დაინტერესებული პირისთვის აუცილებელი, ზოგადი ინფორმაცია ამ მომსახურების შესახებ და არა უშუალოდ მასში ინტეგრირებული ხელოვნური ინტელექტის სისტემის თაობაზე.⁴⁰

საინტერესოა ასევე „Microsoft“-ის ოფიციალურ პროგრამებით სარგებლობის ფარგლებში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პრაქტიკა რიგ ადმინისტრაციულ ორგანოებში. როგორც აღინიშნა, იმ უწყებებს შორის რომელთა პრაქტიკის შესწავლა მოხდა, ორი მიუთითებს რომ აქვთ წვდომა ხელოვნური ინტელექტის პროდუქტ „Microsoft Copilot“-ზე, როგორც „Microsoft“-ის ოფიციალურ მომხმარებლებს, თუმცა ეს პროდუქტი არ გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების ან აქტების გამოცემის პროცესში.⁴¹ ამავდროულად, აღსანიშნავია ისიც, რომ მაგალითად, ერთი უწყების შემთხვევაში, მოწოდებული პროგრამული უზრუნველყოფის/ინფორმაციული სისტემების ჩამონათვალი მოცემული იყო, რომ მას შესყიდული აქვს Microsoft 365-ის პროგრამული პაკეტი, თუმცა უწყებას არ მიუთითებია, რომ მასში ინტეგრირებულია Microsoft Copilot და იგი ხელოვნური ინტელექტის პროდუქტია.⁴²

სსიპ **განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი** საქმიანობაში იყენებს მთარგმნელობით პროგრამას, რომელიც შეიცავს ხელოვნური ინტელექტის კომპონენტს, თუმცა არც ეს უწყება მიუთითებს, რომ - SDL Trados Studio ხელოვნური ინტელექტის პროდუქტია.⁴³

ამავდროულად, საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, სექტორული რეგულირების არარსებობის პირობებში, განსაკუთრებულ უფლებრივ რისკს წარმოშობს შემთხვევა, როცა ხელოვნური ინტელექტი ინტეგრირებულია ადამიანის უფლებებზე სერიოზული ზეგავლენის მოხდენის პოტენციალის მქონე პროგრამულ საშუალებაში,

³⁸ სსიპ შემოსავლების სამსახურის 2024 წლის 24 დეკემბრის 9133/2024 წერილი.

³⁹ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 07 მაისის 4210/25 წერილი; იხ. გონიერი კონტრაქტის აღწერა და სამართლებრივი რეგულირება <https://shorturl.at/4qYUw> [05/05/2025]

⁴⁰ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 07 მაისის 4210/25 წერილი

⁴¹ სსიპ საპენსიო სააგენტოს 2025 წლის 15 აპრილის 3495/25 წერილი; სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 07 ნოემბრის 7380/2024 წერილი;

⁴² სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2024 წლის 11 ნოემბრის 7501/2024 წერილის დანართი, შესყიდული პროგრამული უზრუნველყოფების ჩამონათვალი;

⁴³ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 8 ნოემბრის 7418/2024 წერილი; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 29 აპრილის 3930/25 წერილი; შეად. ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენება საქართველოში: კანონმდებლობა და პრაქტიკა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2021, გვ. 24 <https://rb.gy/wakzqu> [02/05/2025]; ასევე იხ. სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დანართი <https://shorturl.at/BrHmK> [14/05/2025]; იხ. პროგრამის შემქნელის ვებ-გვერდი <https://shorturl.at/IkkAm> [14/05/2025]

თუმცა უწყება აღნიშნულს არ აღნიშნავს. მაგალითად, 2024 წელს. გამარტივებული შესყიდვის ფორმით, *სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-მა* ქუჩის კამერები შეიძინა, რომელსაც, სხვა მახასიათებლებთან ერთად, ადამიანის ემოციების ამოცნობაც შეუძლია.⁴⁴ ამ პირობებში, უწყებას აპარატისთვის მოწოდებულ ინფორმაციაში არ მიუთითებია, რომ საქმიანობაში იყენებს ისეთ ტექნიკას, რომელსაც ხელოვნური ინტელექტის მხარდაჭერა აქვს.⁴⁵

ამავე ჭრილში უნდა ითქვას ისიც, რომ *შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო* პირის დისტანციური იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის მიზნით, კომპანია Identomat Inc.-ის საკუთრებაში არსებულ პროგრამულ უზრუნველყოფა Identomat-ს იყენებს.⁴⁶ ხსენებული კომპანიის ვებ გვერდზე არსებული ინფორმაციის ანალიზი მიუთითებს, რომ პირის იდენტიფიცირებისას ე.წ. Liveness Check, რომელსაც ხსენებული უწყება ასევე იყენებს, მოიცავს ხელოვნური ინტელექტის კომპონენტს.⁴⁷ მიუხედავად აღნიშნულისა, ადმინისტრაციული ორგანო ამ პროგრამულ საშუალებას არ განსაზღვრავს როგორც ხელოვნური ინტელექტის პროდუქტს ეს მაშინ, როდესაც *ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახური* ამ პროგრამულ საშუალებას იდენტური მიზნით იყენებს და აპარატისთვის მოწოდებულ ინფორმაციაში მითითებულია რომ ეს პროგრამა ხელოვნურ ინტელექტს შეიცავს.⁴⁸

შესწავლის დროს გამოვლინდა ისეთი შემთხვევაც, როცა უწყება წარსულში იყენებდა ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტს, თუმცა მოცემულ მომენტში აღარ უთითებს მისი გამოყენების თაობაზე. კერძოდ, სსიპ. ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას 2017 წლის განმავლობაში, ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით, შექმნილი ჰქონდა მარკეტინგული კამპანია Emotions Are Georgia.⁴⁹

გარდა ზემოაღნიშნული შეფასებებისა, შესწავლის ფარგლებში, უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით, სახალხო დამცველის შეფასებით შესაბამისი სპეციალური რეგულირების არარსებობის პირობებში, პიროვნების დისტანციური იდენტიფიცირებისა და ვერიფიკაციისათვის გამოსაყენებელი პროგრამული საშუალებების ფუნქციონირება უწყებათა მიერ უპირატესად მხოლოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჭრილში შეიძლება განიხილებოდეს და არ ითვალისწინებს ხელოვნური ინტელექტით სარგებლობის ეთიკურ და სხვა სამართლებრივ მზოქავ ნორმებს.

გარდა ამისა, სახალხო დამცველი ასევე აღნიშნავს, რომ არცერთ ზემოხსენებულ უწყებას აპარატისთვის არ მოუწოდებია ხელოვნური ინტელექტის სისტემების აუდიტის

⁴⁴ იხ. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N01.351.03 სათვალთვალო და დაცვის სისტემები და აპარატურა (CPV - 35120000); ასევე იხ. <https://rb.gy/2n9vtg> [02/05/2025]; <https://shorturl.at/qCxxG> [02/05/2025]

⁴⁵ სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის 2024 წლის 01 ნოემბრის 7157/2024 წერილი

⁴⁶ სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2024 წლის 07 ნოემბრის 7375/2024 წერილი.

⁴⁷ Identomat-ის ვებ გვერდი იხ. <https://rb.gy/bd4kbc> [02/05/2025]; <https://rb.gy/ehhujh> [02/05/2025]

⁴⁸ მომსახურების სააგენტოს წერილი; საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ დაინტერესებული პირის ავტორიზებულ პირად რეგისტრაციის, ავტორიზაციის, იდენტიფიკაციის, ვერიფიკაციის და ავტორიზებული პირის მიერ მისთვის მომსახურების გაწევისათვის საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის წარდგენის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ მუხლი 5; სსიპ შემოსავლების სამსახურის 2024 წლის 24 დეკემბრის 9133/2024 წერილი;

⁴⁹ სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2024 წლის 01 ნოემბრის 7146/2024 წერილი

შედეგები.⁵⁰ საერთაშორისო სტანდარტების თანახმად კი, რეგულარული აუდიტის ჩატარების გარეშე, შეუძლებელია სათანადოდ გაანალიზდეს ის უფლებრივი საფრთხეები, რომელიც ამგვარი სისტემის საჯარო მმართველობაში გამოყენებიდან მომდინარეობს.

ანგარიშის ფარგლებში შესწავლილი უწყებების მიერ ხელოვნური ინტელექტის პროდუქტების გამოყენების არაერთგვაროვანი პრაქტიკა, სპეციალური მარეგულირებელი მექანიზმების არ არსებობა, რისკების შეფასების და დაზღვევის სისტემების არ არსებობა სახალხო დამცველის შეფასებით, საჯარო დაწესებულებების მხრიდან ხელოვნური ინტელექტის უკონტროლოდ გამოყენების რისკებს აჩენს თანაც იმ საფრთხის ფონზე, როცა შესაძლოა თავად უწყებამ არ იცოდეს მომწოდებელი ან/და შემქმნელი კომპანიების მიერ ხელოვნური ინტელექტის პროდუქტებიდან გამომდინარე საფრთხეების თაობაზე. ეს საფრთხე განსაკუთრებით იზრდება იმ პირობებში, როცა სახელმწიფო შესყიდვების გზით შეძენილი ხელოვნური ინტელექტის პროდუქტების მიმართ არ დგინდება რაიმე სპეციალური მოთხოვნები ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. ასეთი არარეგულირებადი და არაერთგვაროვანი სურათის ფონზე, მნიშვნელოვნად ფერხდება ამ ტექნოლოგიის გამოყენებიდან გამომდინარე დამდგარი შედეგების უფლებრივი მონიტორინგის სრულფასოვანი განხორციელებაც.

დასკვნა

წინამდებარე სპეციალურ ანგარიშში განხილული პოტენციური საფრთხეების გათვალისწინებით, რაც შესაძლოა ხელოვნური ინტელექტის პროდუქტების გამოყენებას თან სდევდეს, ასევე ასეთი პროდუქტების თაობაზე საერთაშორისო დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების დადგენის და საქართველოს საჯარო დაწესებულებებში არსებული სურათის ფონზე, სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს და რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს მთავრობას დროულად მოხდეს ამ საკითხის რეგულირების მიზნით საქართველოს მთავრობის ხედვის ჩამოყალიბება და ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

ამავე დროს სხვადასხვა მიმართულებით ადამიანის უფლებებით დაცულ სფეროებზე ხელოვნური ინტელექტის პროდუქტების ნეგატიური რისკების მასშტაბის გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველი სრულ მზაობას გამოთქვამს, ხელი შეუწყოს ამ პროცესს, როგორც ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვაზე ზედამხედველმა კონსტიტუციურმა ორგანომ.

⁵⁰ სსიპ საპენსიო სააგენტოს 2025 წლის 15 აპრილის 3495/25 წერილი; სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 07 ნოემბრის 7380/2024 წერილი; სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2024 წლის 11 ნოემბრის 7501/2024 წერილი; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის 19 ნოემბრის 7810/2024 წერილი; სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2024 წლის 07 ნოემბრის 7375/2024 წერილი; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 8 ნოემბრის 7418/2024 წერილი.